ვებგვერდი, 111109013, 11/11/2011
სარეგისტრაციო კოდი
430210000.22.022.016220

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №183/ნ
2011 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სამართლებრივი დახმარების საფასურის დამტკიცების შესახებ

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის ,,ა'', ,,ბ", ,,გ", ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების საფასური შემდეგი ოდენობით:

ა) თუ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 200 მოსწავლის ჩათვლით, სამართლებრივი დახმარების საფასური თვეში განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით;

ბ) თუ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 201-დან 600 მოსწავლის ჩათვლით, სამართლებრივი დახმარების საფასური თვეში განისაზღვროს 150 ლარის ოდენობით;

გ) თუ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 601 და მეტი მოსწავლე, სამართლებრივი დახმარების საფასური თვეში განისაზღვროს 200 ლარის ოდენობით;

დ) კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის – სამართლებრივი დახმარების საფასური თვეში განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით.

2. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის

,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი სამართლებრივი დახმარების საფასური 250 ლარის ოდენობით.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი